

„ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები“, როგორც მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება და მისი SWOT ანალიზი

DOI:10.36962/ECS105/5-7/2023-156

ნინო ბენდიანიშვილი
პროფესორის ასისტენტი, სტუ
bendianishvili.nino@gtu.ge

რეზიუმე

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები (BIT) ეფექტიანი ინვესტიციების წამოწყების მთავარი წინაპირობაა. იგი უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, როდესაც ხელმომწერებიდან ორივე მხარე შეთანხმდება თამაშის წესებზე, შემდეგ უკვე იქმნება საინვესტიციო დავის მოგვარების ხელსაყრელი და ოპტიმალური გარემო. [1]

მარტივი განმარტების მიხედვით, **ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება** არის საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც დადებულია ორ ქვეყანას შორის. იგი შეიცავს ორმხრივ ვალდებულებებს ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს ინვესტორების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით. **ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება** მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და დაიცვას „ინვესტიციები“, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის შეთანხმებაში. მიზანშეწონილია კონკრეტული შემთხვევების ცალკეულად განხილვა, რადგან რიგ ინვესტიციას აქვს აუცილებელი საკვალიფიკაციო მახასიათებლები.

ხელშეკრულებების უმეტესობაში მხარეები განსაზღვრავენ, თუ რომელი ინვესტორები და ინვესტიციების რა ტიპები შედის ხელშეკრულებაში. უახლესი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ასევე შეიცავს მუხლებს, რომლებიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს შესაბამისი და პროპორციული მარეგულირებელი ქმედებები საზოგადოებრივი

ინტერესებიდან გამომდინარე, მაგალითად, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისია მუშაობს შიდაეკროპული ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებაზე. ასეთი მექანიზმი უნდა იყოს ეფექტიანი, ეკონომიური, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაზე მორგებული, კეთილგანწყობილი და სავალდებულო.

საკვანძო სიტყვები: ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, ეფექტიანი ინვესტიციების წამოწყება, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების SWOT ანალიზი, მსოფლიო მასშტაბით ინტეგრაცია.

შესავალი

მსოფლიო მასშტაბით პირველი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება (BIT) 1959 წელს დაიდო გერმანიასა და პაკისტანს შორის. მას შემდეგ 60 წლის განმავლობაში ვითარდებოდა და იქმნებოდა საინვესტიციო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამჟამად არსებობს 2500-ზე მეტი მსგავსი ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანას.

ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში მოიაზრება ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმება, რომელიც შეიცავს ორმხრივ ვალდებულებებს ხელმომწერი მხარეების მოქალაქეების მიერ ერთმანეთის ტერიტორიაზე განხორციელებული კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ. ეს შეთანხმებები ადგენს პირობებს, რომლითაც ერთი ქვეყნის მოქალაქეები ინვესტირებას ახდენენ მეორეში, მათ შორის მათ უფლებებსა და დაცვაზე. [2]

ხელშეკრულება უზრუნველყოფს დაცვას უცხოური აქტივების უკანონო ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციისგან და ხელმომწერის მიერ სხვა ქმედებებისგან, რამაც შეიძლება შეარყიოს სხვა ხელმომწერის მოქალაქის საკუთრება ან ეკონომიკური ინტერესები. იმის გამო, რომ BIT არის შეთანხმება ხელმომწერ მხარეებს შორის, მათი პირობები განსხვავდება.

ძირითადი ტექსტი

ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების დადება მნიშვნელოვანია ინვესტორების მოსაზიდად, რომ მათ უფრო დაცულად იგრძნონ თავი და რისკის გარეშე მომართონ ინვესტიციები ჩვენი ქვეყნისაკენ. სწორედ, რომ უცხოური ინვესტიციები განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აკადემიურ წრეებში ბოლომდე ვერ თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები დადებით გავლენას ახდენს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით. ამის მიზეზია მწირი და არასრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე და განსხვავებული მიდგომები.

მსოფლიო მასშტაბით არსებობს საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID). საერთაშორისო საინვესტიციო იურისპრუდენცია ადგენს, რომ პრეტენზიების წარდგენისას ინვესტორმა დამატებით უნდა აჩვენოს: 1) ინვესტორის კონტრიბუცია ან ვალდებულება; 2) ინვესტიციის/პროექტის შესრულება გარკვეული ხანგრძლივობით; 3) ინვესტორისთვის რისკის არსებობა; 4) მნიშვნელოვანი წვლილი მასპინძელი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში.

აღნიშნული ზოგადი მახასიათებლები მოქმედებს საქართველოზეც. მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკურის ჰაბის 2022 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს 39 ქვეყანასთან აქვს დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება (BIT). [3]

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ავტორისეული SWOT ანალიზი შემდეგია:

ძლიერი მხარეები:

- 1) უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდის ხელშეწყობა;
- 2) უცხოელი ინვესტორების სამართლიანი მოპყრობისთვის პირობების შექმნა;
- 3) უსაფრთხოების გარანტია;

- 4) ქვეყნის იმიჯის ზრდა საერთაშორისო მასშტაბით;
- 5) სამართლებრივი სტაბილურობა;
- 6) ეროვნული განვითარების მიზნებთან შესაბამისობა;
- 7) ქვეყნის დახმარება სწორი საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;
- 8) პროცედურების გამჭვირვალობა;
- 9) წარმოადგენს რეფორმის ამაჩქარებელ აქსელერატორს ქვეყნებისათვის მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად, რომელიც გვთავაზობს გამოსაყენებლად მზა ერთიან ენას.

სუსტი მხარეები:

- 1) სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმართავი პირობების ან არასაკმარისად მომზადებული შიდა გარემო უარყოფითად იმოქმედებს ინვესტიციების პროცესზე;
 - 2) საარბიტრაჟო ტრიბუნალებში მიმართვით, უცხოური კომპანიის შესაძლებლობა გვერდი აუაროს სახელმწიფოს სასამართლოებს და შიდა კანონმდებლობას;
 - 3) საჩივრების საჯარო რეესტრის არარსებობა საარბიტრაჟო ფორუმების უმეტესობაში, არ ინახავენ აღნიშნულ მონაცემებს. ამიტომაც ფაქტობრივ ხელშეკრულებებზეა დაფუძნებული საქმეების საერთო რაოდენობა, რაც შეიძლება იყოს უფრო მაღალი;
 - 4) ტერმინთა არაზუსტი განმარტებები;
 - 5) რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის დახვეწა;
 - 6) საჭიროებს ტექნიკური თვალსაზრისით ფუნქციების დამატებასა და დახვეწას;
 - 7) ხარჯების ოდენობა და პროცედურები, რაც საჭიროა საჩივრებისათვის;
 - 8) ინვესტორ-სახელმწიფო დავის მოგვარება ძველი თაობის ხელშეკრულების მეშვეობით ხორციელდება;
 - 9) გამართული საინვესტიციო იურისდიქციის არსებობა.
- შესაძლებლობები:**
- 1) ხელშეკრულებების დებულებების დახვეწა და რეფორმის ვარიანტების განხილვა;

2) გამონაკლისის სახით შიდა მარეგულირებელი ღონისძიებების ჩართვა გონივრული ზომების განსახორციელებლად;

3) მდგრადი განვითარების მიზნებით ორიენტირებული ქვეყნის განვითარების საერთო მსოფლიო გეგმის შემუშავება;

4) საერთო ქსელების რეფორმის მცდელობა;

5) შიდა პოლიტიკის კოორდინაცია;

6) რეფორმაზე ორიენტირებული აქსელერატორი და ფორმულირებები შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ ეროვნულ, ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ დონეზე. ინტერპრეტაციის მიზნით, ცვლილებების შეტანის ან ძველი თაობის ხელშეკრულებების შეცვლის მიზნით;

7) შესაბამისი საინვესტიციო მენეჯმენტის განვითარების თვალსაზრისით საინვესტიციო მოდერატორის გამოყოფა დადებული ხელშეკრულებების სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებას შორის კომუნიკაციის დამყარებას. აგრეთვე დამოუკიდებელი საინვესტიციო ინსტიტუციის ჩამოყალიბება;

8) შესაძლო სერვისების გადატანა ელექტრონულ სივრცეში-ISDS საქმეების თანამედროვე სტანდარტებზე და ციფრულ, ინოვაციებზე მორგებას;

9) ხელშეკრულების თანამედროვე მოდელის შემუშავება.

საფრთხეები:

1) მასპინძელი სახელმწიფოების მიერ გამონაკლისების ბოროტად გამოყენების ფაქტები;

2) უცხოეთის მხრიდან ერთგვარი კონტროლის და მართვის მექანიზმი; 3) საერთაშორისო სტანდარტებზე დამოკიდებულება;

4) სიფრთხილე უსაფრთხოების პრინციპებთან დაკავშირებით;

5) არაპირდაპირი ექსპროპრიაცია;

6) არსებული გამოცდილებით, სახელმწიფოების წინააღმდეგ გადანყვებილი საინვესტიციო დავების უმეტესობა, რამაც შესაძლოა დიდი დანაკარგი მიაღებინოს ქვეყანას;

7) რეპუტაციული ზიანი დავის წაგებისას.

დასკვნითი ნაწილი

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ემსახურება საერთაშორისო დონის სამართლებრივი რეჟიმის დამყარებას ინვესტიციების ხელისშეწყობის მიზნით. რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს, ეროვნულ მოპყრობასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების მიხედვით, ეს სტანდარტი ზოგჯერ კომპანიის დაფუძნებასა და ინვესტირების პროცესზე ვრცელდება. ხოლო ზოგ შემთხვევაში რეგისტრაციამდელ პროცესზეც. [4]

საერთო ჯამში, საქართველოსთვის მიზანშეწონილია მსოფლიო დონეზე უსაფრთხო საინვესტიციო კავშირში ჩართვა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმება. **სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს მიმდები სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში დიდი როლის შესრულებას**, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. არის მთელი რიგი ფაქტორები გასათვალისწინებელიც. თუმცა, ზოგადად უდაოდ წარმოადგენს დადებით მოვლენას მსოფლიო მასშტაბით ინტეგრაციის საკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცერცვაძე გ., „შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში“, თბ, 2013, „მერიდიანი“, გვ. 46, 288. Cercvadze G. “ Introduction in linternational Law”, Tb. 2013, “Meridiani”, p. 46, 288.
2. [https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-502-2491?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-502-2491?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true) [უკანასკნელად გადამოწმებულია/last checked - 25.06.2023]
3. <https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/countries/77/georgia> [უკანასკნელად გადამოწმებულია/last checked- 24.06.2023]
4. SCHREUER CHRISTOPH, Investments, International Protection, Oxford: Max Planck Encyclopedia of Public International Law, 2011, para. 68

REFERENCES:

1. Tsertsvadze G., "Introduction to International Investment Law", Tb, 2013, "Meridian", p.46, 288.
2. [https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-502-2491?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-502-2491?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true) [Last checked - 25.06.2023]
3. <https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/countries/77/georgia> [Last checked - 24.06.2023]
4. SCHREUER CHRISTOPH, Investments, International Protection, Oxford: Max Planck Encyclopedia of Public International Law, 2011, para. 68.

**"BILATERAL INVESTMENT AGREEMENTS
AS A MEAN OF INTEGRATION INTO THE WORLD SOCIETY
AND ITS SWOT ANALYSIS**

Nino Bendianishvili

Professor's Assistant, GTU

bendianishvili.nino@gtu.ge

RESUME

Bilateral Investment Treaties (BITs) are a key prerequisite for effective investment. It ensures efficient use of resources and free movement of capital. When both parties from the signatories agree on the rules of the game, then a favorable and optimal environment for settlement of investment disputes is created.

By simple definition, a bilateral investment treaty is an international agreement concluded between two countries. It contains bilateral obligations for the promotion and protection of private investments made by investors of one of these states in the territory of the other state.

A bilateral investment treaty aims to promote and protect "investments" as defined in the relevant agreement. It is appropriate to

consider specific cases separately, as a number of investments have the necessary qualifying characteristics.

In most agreements, the parties specify which investors and what types of investments are included in the agreement.

More recent bilateral investment treaties also contain articles that emphasize the right of a state to take appropriate and proportionate regulatory action in the public interest, for example to protect health and the environment.

It should be noted that the European Commission is working on improving the legal protection of intra-European investments. Such a mechanism should be effective, economical, adapted to the activities of small and medium-sized businesses, benevolent and mandatory.

Keywords: Bilateral Investment Treaties, Effective Investment Initiatives, SWOT Analysis of Bilateral Investment Treaties, Global Integration.